



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 69

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ.გარდაბანი

69-06-4-202307201327



გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოში მდებარე, №81.09.12.424 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 380 კვ.მ მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 108-ე მუხლის პირველი ნაწილისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 17 ივლისის №18-18231987 მომართვის საფუძველზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

### მუხლი 1

გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოში მდებარე, №81.09.12.424 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 380 კვ.მ მიწის ნაკვეთი, შემდგომში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

### მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

### მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ.  
რუსთავი, ზოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო  
კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.  
მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

